

კვირის მიმოხილვა

33 3-9 ნოემბერი

3-9 ნოემბრის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- სიძულვილის ენა ორგანიზაცია "იდენტობის" ხელმძღვანელის მიმართ იყო გამოხატული, რაც მისი მხრიდან საქართველოს კათალიკოს პატრიარქის კრიტიკას უკავშირდებოდა;
- არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის ეს კრიტიკა პატრიარქის მიმართ გარკვეული რესპონდენტების მხრიდან წარმოდგენილი იყო როგორც გარე ძალების მიერ მხარდაჭერილი კამპანია მართლმადიდებლობის წინააღმდეგ;
- საფრთხეებზე დაუსაბუთებელ აპელირებას თურქეთთან მიმართებაში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ახდენდა;
- ქსენოფობია ჩინელების, უზბეკების და ბოშების მიმართ იყო გამოხატული;
- ქალთა და მამაკაცთა როლების სტერეოტიპულ წარმოდგენას სასულიერო პირი ახდენდა;
- სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელ მითითებას კონკრეტულ ინდივიდთან მიმართებაში გაზეთ "ასავალ-დასავალის" კრიტიკის გამო ჰქონდა ადგილი;
- ანტიდასავლური განწყობები ტრადიციულ თემებთან ერთად თავდაცვის სამინისტროში დაწყებულ გამომიებას და ირაკლი ალასანიას თანამდებობიდან გადაყენებას, ასევე ჯორჯ სოროსის ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს 20 წლისთავის იუბილეზე ჩამოსვლას უკავშირდებოდა. ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იყო, როგორც უკრაინული მაიდნის ანალოგიური რევოლუციის მოწყობის განზრახვა.



შინაარსი

სიძულვილის ენა	2
ძალადობისკენ მოწოდება	2
საფრთხეებზე დაუსაბუთებელი აპელირება	2
ქსენოფობია	2-3
ჰომოფობია	3
სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება	3
ინდივიდუალური თავდასხმა ორგანიზაცია "იდენტობის" ხელმძღვანელზე	3-4
ანტიდასავლური განწყობები	4-5

სიკულვილის ენა

ასავალ-დასავალი, 3-9 ნომერი

ნიკოლოზ მჟავანაძე, „უფლებადამცველთა გაერთიანება“: „პატრიარქს, რომ აგინებენ ეგ მართლაცდა ავადმყოფები [იგულისხმება ირაკლი ვაჭარაძე, "იდენტობა", ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვა ორგანიზაციები], რომ გამოვარდეს ხალხი და მაგათ თავები დაუხეთქოს, ვისი ბრალი იქნება?“

კალაღობისკენ მოწოდება

ასავალ-დასავალი, 3-9 ნომერი

ლალი ანთია, არასამთავრობო ორგანიზაცია: „ესენი [ნაციონალური მოძრაობის, ყოფილი მოქალაქეთა კავშირის წევრები] უნდა დაიმარხონ! ამათთვის დაპატიმრება, დაკავება და ა.შ. იქნება საამური ცხოვრება, ესენი უნდა დაახრჩო კვამლით და მერე უნდა დამარხო... დიდი ორმო უნდა ამოვთხაროთ და ესენი უნდა ჩავმარხოთ!.. როგორც ბაქრაძემ მოგვიწოდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სამეგრელოს მოსახლეობას _ თოხებით, ჩანგლებით, ჯოხებით, ბარებით, ფიწლებით გამოდით და იომეთო! _ აი, სწორედ ასე უნდა გამოვიდეთ ჩანგლებით, ჯოხებით, ბარებით, თოხებით და ამათ უნდა დავალეწოთ თავპირი!“

პვირის ქრონიკა, 3-9 ნომერი

გობა მერაბიშვილი: „მაგას [ბაკურ სვანიძე] უთხარით ყურებს მოვაჭრი, მაგის თავს ლანგარზე დადებულს დედამისს მივუტან, გაჩერდეს უთხარი, სანამ კუბოში აღმოჩენილა.“

საფრთხეზე დაუსაბუთებელი აკელირება

ასავალ-დასავალი, 3-9 ნომერი

ნიკოლოზ მჟავანაძე, „უფლებადამცველთა გაერთიანება“: „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და მისი შვილობილი ორგანიზაციები საქართველოში ჩამოყალიბდნენ „მეხუთე კოლონად“, რომლებიც პროვოცირებას უკეთებენ თურქეთს, რათა თურქეთი შემოიჭრას საქართველოში! არავის დაავიწყდეს, რომ რუსეთთან ერთად საქართველოს ძირძველი ტერიტორიები, ასევე ოკუპირებული აქვს თურქეთს და გაიხსენეთ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დევით-ოდლუს ექვსი თვის წინანდელი განცხადება: „თურქეთი შეეცდება თავისი ისტორიული საზღვრების აღდგენას!“ ხუთი მეჩეთია სოფელ მოხეში და მართლმადიდებელ ქრისტიანებს არა აქვთ უფლება მიტოვებულ შენობაში ეკლესია მოაწყონ?“

ქსენოფობია

ასავალ-დასავალი, 3-9 ნომერი

იროდი ასანაშვილი, სპორტსმენი: „ვაი, რომ ჩემს სამშობლოში თავს სტუმრად ვგრძნობ. თბილისის ზღვაზე ჩინელები ქალაქს აშენებენ. ხვალ ან ზეგ პირადობის მოწმობაში იმათაც საქართველოს მოქალაქეობა ჩაეწერებათ და ჩვენს შვილებსაც... საქართველოსნაირი პატარა ქვეყანა კი არა, ბუმბერაზი სახელმწიფოები ჩაუყლაპავს ისტორიას. ქართველების სახლებს ლამის სახურავი ჩამოექცეთ, ჩინელები კი სასახლებს იშენებენ.“

ქსენოფობია

კპირის ქრონიკა, 3-9 ნომეზბერი

მერაბ ქნელაძე, ისტორიის

მეცნიერებათა დოქტორი: "და დღეს ქართველებისთვის ასეთ მნიშვნელოვან ადგილას [ადგილი, სადაც ისტორიულად ზარაფხანა იყო], ქართულ ძეგლზე უზბეკური ფარდაგებია გადმოფენილი და გაპტიჟებენ, მოზრძანდით „უზბეკ

რესტორანშიო“. ეს ყოვლად დაუშვებელია!"

რეზონანსი, 3 ნომეზბერი

ლია ზუმბაძე, გლდანის მცხოვრები:

„აქ სულ ხმაურია. „ციგნები“ ხან ერთმანეთში ჩხუბობენ, ხან კლიენტებს ეჩხუბებიან. მორიდება მაგათ არ აქვთ და შეგნება.“

გენდერული სტირეოტიპები

კპირის ქრონიკა, 3-9 ნომეზბერი

ელიზბარ ღიაკონიძე, დეკანოზი: „ამ კაცებმა, სახლებში რომ საქონლებივით წვანან, აღიდგინონ თავისი ფუნქცია ოჯახის მარჩენალისა.“

სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება

ასაგალ-დასაგალი, 3-9 ნომეზბერი

გიორგი ბიბაური, ჟურნალისტი: „ერთადერთი „არგუმენტი“, რომლითაც ადვიშვილის ნაზი ოთო [კახიძე] „ამტკიცებს“ იმას, რომ „ასავალ-დასავალი“ „რუსეთის ფსბ-ს ღია რუპორია“, ეს არის: „დაუფარავად ეწევა რუსულ პროპაგანდას“... იქნებ ადვიშვილის კაბინეტის გვერდზე განთავსებულ ცნობილ სამინებელში ნანახ ცისფერ სიზმრებში?!"

კომოფობია

ასაგალ-დასაგალი, 3-9 ნომეზბერი

ლალი ანთია, ყოფილი პატიმარი: „თუ ზურა [ჟვანია] ცისფერი იყო და გაუკუღმართებული ცხოვრება ჰქონდა იმ საცოდავს, მაშინ ამ ნაგავს - ხათუნა გოგორიშვილს ზურაბ ჟვანია, როგორც კაცი, რატომ უყვარდა სიგიჟემდე?“

ინდივიდუალური თავდასხმა ორგანიზაცია “იდენტობის” ხელშეწყობა

ორგანიზაცია "იდენტობის" ხელმძღვანელის ირაკლი ვაჭარაძის მიერ სოციალურ ქსელებში საქართველოს პატრიარქის გაკრიტიკებას მის მიმართ პერსონალური თავდასხმები არა მხოლოდ დიასპორების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, არამედ სასულიერო პირის და ჟურნალისტების მხრიდან. პატრიარქის კრიტიკა შეფასებული იყო როგორც უცხოეთიდან დაფინანსებული კამპანია.



ელიზბარ ღია-კონიძე, დეკანოზი:

„ამ კაცებმა, სახლებში რომ საქონლებივით წვანან, აღიდგინონ თავისი ფუნქცია ოჯახის მარჩენალისა.“

ინდივიდუალური თავდასხმა ორგანიზაცია “ილენტობის” ხელშეწყობა

ალია, 7 ნოემბერი

ანთიმოზ ბიჩინაშვილი,
არქიმანდრიტი: „ეს არის საძაგელი პროპაგანდა ეკლესიის წინააღმდეგ, რომელიც ყველამ კარგად იცის, ვის მიერაა მართული... ამას წერტილი უნდა დაესვას და ვინმე უნდა დაისაჯოს, თორემ ეს პროცესი სხვა რამეში გადაიზრდება. ჰომოსექსუალის შეურაცხყოფა ისჯება და პატრიარქის არა? ეს ანტიქრისტიანული იდეოლოგია, რომელსაც ამკვიდრებენ საქართველოში. დაინტერესება არის ფულადი, რა თქმა უნდა.“

ასაგაღ-ღასაგაღი, 3-9 ნოემბერი

ჯაბა სუბუა, ჟურნალისტი: "დიახ, ეს [ორგანიზაცია "ილენტობის" ხელმძღვანელის ირავლი ვაჭარაძის მიერ პატრიარქის კრიტიკა] არის უცხოეთის ბნელი და მტრული ძალების მიერ კარგად დაფინანსებული კამპანია, რომელიც საქართველოში მართლმადიდებლობისა და ქართული ეკლესიის დისკრედიტაციასა და პოზიციების მორყევას ისახავს მიზნად!"

სათაური: „კონჩიტებო“ ხელები შორს

პატრიარქისგან!
ჯაბა სუბუა, ჟურნალისტი: "დიახ, ქართველი „კონჩიტების“ მამამთავარი, ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალების (ლგბტ) უფლებების დამცველი ირავლი ვაჭარაძე უხეშად არღვევს საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტის უფლებებს და უცერემონიოდ შეურაცხყოფს მათ რელიგიურ გრძნობებს...ხვალ ერთმანეთზე მიყოლებით სხვა ვაჭარაძეები და „კონჩიტები“ გამოხტებიან, რომლებიც ჩვენს რელიგიურ გრძნობებს მიაფურთხებენ და ფეხქვეშ გათელავენ! ამიტომ ყველა მათ გამოხდომას საფუძველშივე უნდა გაეცეს საკადრისი პასუხი!"

კვირის ქრონიკა, 3-9 ნოემბერი

გელა ზემელაშვილი, ჟურნალისტი:
"ყველაფერი გაუკუღმართდა. როდესაც წუპაკ ვაჭარაძეს რამე ისეთს შეჰკადრებენ, არასამთავრობოები ყბებს ყურებამდე იხევენ და გაჰყვირიან, ეს სიძულვილის ენააო. როდესაც პატრიარქს ლანძღავენ, ხმას არავინ იღებს ერთი-ორი კაცის გარდა და იმათაც ჯვარზე აკრავენ, სამსახურებიდან გამოყრას ითხოვენ".

ანტიდასავლური განწყობები

ასაგაღ-ღასაგაღი, 3-9 ნოემბერი

თიმურ შაშიაშვილი, ბურჯანაძე-გაერთიანებული ოპოზიცია: „მსოფლიოში ეროვნული სახელმწიფოები აღარ აწყობთ... დიახ, საიდანაც მსოფლიო ცივილიზაცია იწყებოდა და სადაც მართლმადიდებლობაა, სწორედ ის კერებია აფეთქებული. ამდენად, ჩვენი ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენს არა მონა სააკაშვილი და მისი ნაცმოძრაობის მიერ დაანონსებული აქცია, არამედ, ის სპეცსამსახურები, რომელსაც სააკაშვილი ემსახურება...“

თუკი უცხოელ სპეცსამსახურებს ვინმეზე დიდი ფული აქვთ დახარჯული, ეს არის სწორედ გიორგი მარგველაშვილი. როგორ შეიძლებაოდა საქართველოს პრეზიდენტი ყოფილიყო კაცი, რომელიც „თავისუფლების ინსტიტუტ-ტის“ სათავეებთან იდგა, რომელიც სოროსის სათავეებთან იდგა, „ენ-დი-აი“-ს სათავეებთან იდგა!“

რამონანსი, 5 ნოემბერი

ბიბა ბურჯანაძე, ბურჯანაძე-გაერთიანებული ოპოზიცია: "ვფიქრობ, რაღაც დიდი

თამაშია დაწყებული ამერიკელების მხრიდან [საუბრობს თავდაცვის სამინისტროში დაწყებულ გამოძიებაზე], რომელშიც ჩართულნი არიან პროამერიკული ძალები და უნდათ, რომ საქართველოში რაღაც უბედურება დატრიალდეს.“

ობიექტივი, ღამის სტუდია, 4 ნოემბერი

ტილემავაშვილი: "არ გვინდა მაინცდამაინც დასავლური ეს ღირებულებები... ჰომოსექსუალისტები მინდა ახლა მე საქართველოში და?"
<http://obieqtivi.net/tv1.php?id=19212>

ობიექტივი, ღამის სტუდია, 4 ნოემბერი

ტილემავაშვილი: „და ვისწრაფვოდეთ საერთოდ ქრისტიანთა საშველად, და არა ამერიკული წეს-ჩვეულებების დასაწერად, და თუ არ მოვიშლით მტრობას ჩვენ რუსების და აფხაზების, და თუკი ამერიკას ვუჯერებთ და მის ჭკუაზე უნდა ვიაროთ, მაშინ ბარემ რუსის ჩექმა გვეწმინდა.“
<http://obieqtivi.net/tv1.php?id=19212>

ანტიდასავლური განწყობები

ობიექტივი, ღამის სტუდია,
4 ნოემბერი

ტელემაგურამაილი: „ჩვენ არა ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა, ჩვენ არც რუსეთის დროს ვიყავით დამოუკიდებლები, როცა ვიყავით იმპერიის შემადგენლობაში, და ახლა უფრო არა ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა იმიტომ, რომ ნებისმიერ გადაწყვეტილებას დებულობს ამერიკის შეერთებული შტატები... ეს კანონების მიღებაც. გავიხსენოთ აბა ელგებეთე საზოგადოების კანონის მიღება“...
<http://obieqtivi.net/tv1.php?id=19212>

ტელემაგურამაილი: „ალასანია არის პირდაპირ ამერიკის დანიშნული კაცი, ის ატარებს ამერიკის ინტერესებს, და ჩვენ ყველანაირად მხარში დავუდგებით ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელსაც არ უნდა ქვეყანა გადაჩეხოს უფსკრულში.“
<http://obieqtivi.net/tv1.php?id=19211>

GEWORLD.GE 5 ნოემბერი

გიორგი ბაჩინილაძე, ავტორი: " რადგან მან [ირაკლი ღარიბაშვილმა], თავდაცვის მინისტრის პოსტიდან ირაკლი ალასანიას გათავისუფლებით აშშ-სა და მის მიერ მართულ ევროპულ ძალებს მკვეთრად მიანიშნა, რომ მარიონეტობას არ აპირებს და მათ ბრძანებებს უსიტყვოდ არ დაემორჩილება. თუმცა ახლა ის ძალები, რომლებმაც პირისხლიან სააკაშვილს დემოკრატიის მუქურა უწოდეს, საქართველოში დემოკრატიის პრინციპების შელახვაზე ნართაულ მინიშნებებს აღარ დასჯერდებიან და ყველა ღონეს იხმარენ "ნაციონალური მოძრაობის" მხარდასაჭერად და "ქართული ოცნების" ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებლად. მათ ამის კოლოსალური გამოცდილება აქვთ. მაგალითისთვის საქართველოში, უკრაინასა და არაბულ ქვეყნებში მოწყობილი ფერადი რევოლუციებიც კმარა."
<http://geworld.ge/View.php?ArtId=6273>

GEWORLD.GE, 5 ნოემბერი

ლიბიტრი მონიაშა, ავტორი: "კონსტიტუციაში უნდა ჩავეწეროთ: "კანონზე მაღლა არავინ დგას თვინიერ ძია სემისა" თუ აშშ-ის ელჩი მთავარ პროკურორად დავნიშნოთ (მთავარი ადვოკატი ის უკვე გახდა)?"
<http://geworld.ge/View.php?ArtId=6272>

ობიექტივი, ღამის სტუდია,
4 ნოემბერი

ტელემაგურამაილი: „ჩვენ ამ დასავლეთიზაციით, ამერიკანიზაციით თურქეთის ხელში აღმოვჩნდებით 100%-ით, ჩვენ თურქეთს იქეთ ვერ გავალთ."
<http://obieqtivi.net/tv1.php?id=19211>

ასავალ-ღასავალი, 3-9 ოქტომბერი

არნო სიღირაბიშვილი, საქინფორმი:

"ნუთუ აშშ ქართულ ეთნოსს უკეთ დაიცავს, ვიდრე რუსეთი აფხაზურს?!.. როცა საქართველო ამ ტერიტორიულ მთლიანობას კარგავდა, მისი ნომერ პირველი სტრატეგიული პარტნიორი მხოლოდ პამპერსებით შემოიფარგლა? საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი აშშ კი არა, რუსეთი რომ ყოფილიყო, რუსეთის ფედერაცია საქართველოს ჯარებით და არა პამპერსებით გამოესარჩლებოდა!"

საქინფორმი, 7 ნოემბერი

„ამიტომ კიდევ 11 წლის შემდეგ - 2014 წელს - მოუსვენარმა ფილანტროპმა (სოროსი) გადაწყვიტა საქართველოში კიდევ ერთი რევოლუციის მოწყობა, „მაიდანის“ მსგავსად, და მასზე თავისი დასასაფლავებელი ფულის გამოიმუშავება [მხედველობაშია ჯორჯ სოროსის ვიზიტი თბილისში ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით]“
<http://bit.ly/1v2ir6r>

საქინფორმი, 3 ნოემბერი

„როგორც ხედავთ, ძვირფასო თანამემამულენო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ისევ „ნაციონალების“, ნაციონალ - მეუფეების, ლიბერტარიანელებისა და აშშ-ის სპეცსამსახურების აგენტების ტყვეობაშია, რომელთა ვინაობა, მათ შორის - მის უახლოესი გარემოცვიდან, ქართული საზოგადოებისთვის დიდი ხანია კარგად ცნობილია!“
<http://bit.ly/1viA5D8>